832
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ჩვენი დროშა

"NOTRE DRAPEAU"

დაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

№ 46

შ ი ნ ა ა რ ს ი:

26 მაისი.
გ. ბოლქვაძე—26 მაისი მეტეხში.
ა. ბადრიძე—შრომის დღესასწაული საბჭოეთში.
ბაზვალი—ისტორიის სიყალბე.
ვ. ჩუბინიძე—ქ-ნ მაკრინე ჩხენკელის ხსოვნას.
პ. სარჯველაძე—თებერვლის რევოლიუცია და სხვ.

პ ა რ ი ზ ი. ᲨᲐᲝᲡ. Paris.
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26 მაისი

. . . . . მას ებრძვიან, ებრძვიან ყოველგვარი საშვალებით: წერით, სიტყვით, ფაქტების გაყალბებით, დამოუკიდებელ ხანის გაბახებით და გაწბილებით.

ებრძვიან დამოუკიდებელ სახელმწიფოს მაშინდელ მიმრქმელთა, მოღვაწეთა სახელს, ჩნდებიან ახალ-ახალი ვაი-ისტორიკოსები, ერთი-მეორეს ეჯიბრებიან და ეცილებიან, რათა ათი-ათასობით დაღუპულ ქართველთა ბრძოლა 26 მაისის აღსადგენათ—ავანტიურად მონათლონ; რაც დრო მიდის ფალსიფიკატორთა გააფთრებული იერიშები არა თუ ნელდება, არამედ ღრმავდება და ფართოვდება. რატომ ასე ნიშანში ამოიღეს 26 მ ა ი ს ი? მიზანი აშკარაა და ნათელი. მათ სურთ აღმოფხვრან ახალ თაობათა გულიდან დამოუკიდებლობის იდეა, მათ სურთ შეაჩერონ ქართველი ხალხის ლტოლვა თავისუფლებისთვის, მათ შიშს გვრის ეროვნული თავისუფლების იდეა, რომელმაც დაამხო და დაშალა უდიდესი კოლონიალური იმპერიები.

განა მას სჭირდება აჯანყება და დემონსტრაციები რომ ქვეყნიერებას დაუმტკიცოს გარდაუვალი სურვილი?.. პოლიტიკური სიმწიფე მას უკარნახებს სიფრთხილეს, თავდაჭერას და სიბრძნეს, სინამდვილის განჭვრეტას, ძალთა დაზოგვას, ეროვნული ჩაგვრის მხნეთ და გულადათ გადატანას. მისთვის დღეს უცნობი არაა შიმდინარე ეპოქის მოთხოვნილება, მოძრაობა, მასზედაც რომ გავრცელდება და ისიც განახორციელებს თავის საწადელს.

თუ საბჭოთა იმპერია მილიტარულად მოწყობილი ძლიერად გამოიყურება, მან დაჰკარგა იდეოლოგიური საფუძვლები,—ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა შიგნით და გარეთ. მისი გადაშენება დაწყებული ათიოდე წლის უკან —მიმდინარეობს არც ისე ნელი ნაბიჯით—ის მივა თავის ლოლიკურ დასკვნამდე... მის ნანგრევებზე აღიმართება თავისუფალ ერთა დამოუკიდებლობის დროშები—და მათ შორის 26 მაისის სახეც გამობრწყინდება.

26 მაისის სხივები არა თუ ქრება—იგი თვითეულ ქართველის გულს იპყრობს, აჯადოებს, იმედს უნერგავს...

26 მაისი არ არის დღე მხოლოდ მოგონების, არამედ დროშა ბრძოლის, ერის გულში ჩამარხული—ახლო მომავალში,—იგი იხილავს მზიურ სინათლეს.

30279

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26 მაისი მეტეხში

1922 წელს, მეტეხის ციხე კიდევ ერთხელ აღმოჩნდა თავის ისტორიულ როლში. ის გახდა დაპყრობილი სამშობლოსათვის ბრძოლის სიმაგრედ და ხელმძღვანელად.

საოკუპაციო ხელისუფლებამ შესძლო, წლინახევრის შანძილზე დატუსაღება დიდი უმრავლესობის არალეგალურად მომუშავე ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელებისა. მეტეხის ციხე,—ყველა სხვა ციხეები და ჩეკის სარდაფები,—გაივსო მებრძოლთა რიგებით.

მეტეხში ამ დროს იმყოფებოდნენ მთავრობის წევრები გრიგოლ ლორთქიფანიძე (მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე) და ნოე ცინცაძე. დამფიძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე, ისიდორე რამიშვილი ,კოტე ანდრონიკაშვილი (შემდეგში, 24 წლის აჯანყების ხელმძღვანელი—დამკომის თავმჯდომარე); სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ხელმძღვანელები: ალ. დგებუაძე, ზაქ. გურული, ანდ. ჭიაბრიშვილი, ვლ. ჯიბლაძე, ხარაში და სხვ. და კიდევ, ქართული და პოლიტიკურ-სოციალური თავისუფლებისთვის მოძრაობის ერთგულ შებრძოლთა ხელმძღვანელები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, «ქართველი მუშების» სახელს რომ ატარებდენ.

გარდა ზემოხსენებულ სახალხო გვარდიის ხელმძღვანელებისა, რომლებიც ამ კატეგორიას ეკუთვნოდნენ, აქ იყვნენ: დათიკო დვალი, ვალ. ჭელიძე, სტეფ. ფარქოსაძე, გრ. ცინცაბაძე, ვასო ნოდია, ბიქტორ ცენტერაძე (ეს სამი უკანასკნელნი იქნენ გადმოსახლებულნი 9 ნოემბერს—62-თა რიცხვში 23 წელში დაბრუნდენ საქართველოში ნოე ხომერიკთან და ვალიკო ჯუღელთან ერთად 24 წლის აჯანყების მოსამზადებლად და ათეულ ათასთა ბედი ეწვიათ, მათი საფლავებიც კი არ ვიცით.

წარმოუდგენელია ქართულ ისტორიაში ღირსეულად დამსახურებული ადგილი არ მიეკუთვნოს ამ წრის «ქართველი მუშების» ეგოდენ ღირსეულ, თავგანწირულ, დარბაისულ საქმიანობას, რუსულ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას და დამოუკიდებლობის დროს კი ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწეობის როლის შესრულებას.

ასეთები ჰყავდა ალბად მხედველობაში ერთ ინგლისელ მწერალს, რომელმაც სურვილი გამოსთქვა, რათა ყოველი ინგლისელი ლორდი დარბაისლობაში მიჰბაძავდეს ქართველ მუშას და გლეხს.

აქვე იყვნენ აგრეთვე ყველა ქართველი პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ, სრულიად ბუნებრივად, მთელი საქართველოს გულისყური მეტეხის ციხისკენ იყო მიქცეული.

26 მაისის სადღესასწაულო სამზადისი დიდი ხნით ადრე დაიწყო. დაიწერა და შესწავლილ იქნა ძლიერი გუნდის მიერ, —ნიკო დუმბაძის ხელმძღვანელობით,—მეტეხის «მარში». სიტყვები დ. თურდოსპირელის, მუსიკა ნ. დუმბაძის:

ჩვენ უბრძოლველად სამშობლოს არავის მივცემთ გულსაკლავად,
თუნდ მთელი ქვეყნიერება გადაგვექცეს შავ-ბნელ საფლავად.
თეთრი გიორგი ქართველებს მოუძღვის აბჯარ ჭრიალით,
ჩვენც შევუერთდეთ მამაცებს, სამფერი დროშის ფრიალით,
ერთად წავიდეთ ბრძოლაში, ჩავლეწოთ ციხის კარები,
საქართველოდან აღვგავოთ, ცივ ჩრდილოეთის ჯარები.

26 მაისის წინა დღეებში ამანათების მიმღებად და შემომტანათ დაინიშნენ განსაკუთრებით სანდო პირები, ვინაიდან სხვადასხვა პირებზე შემოგზავნილ ამანათებში იმყოფებოდენ გულზე დასაბნევი ეროვნული სამფეროვანი დროშები. ეს ოპერაცია უმარცხოდ ჩატარდა.

26 გათენდა ნამდვილი მაისის მზიანი დღე.

ყველამ ვიცოდით, რომ დილის საუზმის და დროშებით მკერდის დამშვენების შემდეგ ეზოში უნდა გავსულიყავით. აქ, კლდის მწვერვალზე ადის გერონტი ცეცხლაძე და მისთვის ჩვეული წამკითხველის უნარით და მქუხარე ხმით კითხულობს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს, რის შემდეგ მწყობრათ მივდივართ მე-38 საკანში, სადაც ისიდორე, მისთვის ჩვეული ორატორული უნარით მოგვმართავს სიტყვით.

აბა როგორ გავკადნიერდები მისი სიტყვის საკუთარი სიტყვებით გადმოცემის პრეტენზიით, ეს ხომ დიდათ გამოცდილ ჟურნალისტსაც გაუჭირდება!..

კარგად მახსოვს მხოლოდ ერთი ადგილი:

თავისუფლების მოპოებით ქართველი ხალხი ამღერდა, «აჭურღულდა»—(ასე უწოდებენ გურიაში შოშიას—ბულბულის გალობას), ჩრდილოეთის სუსხმა მხოლოდ სამი წელი შეესძლო ამის მოთმენა, ხელახლად აღმოჩნდით ისტორიულად მიჩნეულ როლში,—დაპყრობილი მაგრამ არასოდეს დამორჩილებული, და ბრძოლისაკენ მოწოდებით დაასრულა თავისი სიტყვა, რასაც მოჰყვა მქუხარე დიდება და მეტეხის მარში, რომელთა შეუჩერებელი სიმღერით ჩამოვედით ოთხი სართულის კიბეები, გადავჭერით ეზო და ავედით ე. წ. ყიფჩაღაების საკანში, რომელშიც იყვნენ დაბინავებულნი ზემოხსენებული ხელმძღვანელები და რომლის ფანჯრები მტკვარს გადაჰყურებენ. აქ უმაღლეს ტონზე და მეტის ძლიერებით განვაგრძეთ მარში.

ორთაჭალა, მტკვარის ნაპირები ელვის სისწრაფით გაივსო მოზღვავებულ ხალხით.

ამ დროს, ცოფიანივით შემოვარდა გუნდის რკალში ცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის უფროსი შულმანი,—ისედაც მკრთალი და მთლად გაფითრებული,—რევოლვერით ხელში, «ზამალჩი»-ს ყვირილით და რევოლვერის პირში დამიზნებით შეეცადა ჩვენს ჩაჩუმებას.

ზაქარია გურული თითქოს ამ მომენტს ელოდებოდა. მივარდა შულმანთან, ელვის სისწრაფით რევოლვერი გამოსტაცა, მძლავრად ხელი მოხვია, კარებში გაიყვანა და კიბეებზე, კარგი პანჩურით ძირს გადაისროლა.

დარბის თავბრუ დასხმული შულმანი ეზოში და ყვირის «ლამიშვილი»—«ლამიშვილი»,—რამიშვილს ასე გამოსთქვამდა), ისიდორეს ეძებს, რადგან იცის რომ ხსნა ისიდორეს არბიტრობაშია, ისიდორემაც კარგად იცის, რომ პროგრამის დასრულებამდე მისი ჩარევა ნაადრევია და კარგად მიმალულა კბილის ექიმის სავარძელში.

შულმანს მეტი არაფერი დარჩენია, რეპრესიებს უნდა მიმართოს და გასცა განკარგულება საკნების კარების დაკეტვისა.

გუნდი დავრჩით ჩაკეტილი ყიფჩაღალებთან, დანარჩენი ვინც სად მოხვდა.

ამ დროს ვხედავთ, დაცარიელებულ ეზოში გამოჩნდა ისიდორე თავის ლამაზი ჯოხით—მარცხენა ხელში, მარჯვენათი კი თითქო თავის ლამაზ წვერს ეალერსებოდა,—ნელი ნაბიჯით, მომღიმარი სახით მიდიოდა შულმახის ბიუროსაკენ.

ნახევარი საათი არ გასულა ამის შემდეგ, რომ კარები გაგვიღეს, ეზო ისევ გაივსო, ყველას სახეზე,—დიდის და პატარას, მოხუცის და ახალგაზრდის.—ამოიკითხავდით განუსაზღვრელ სიამოვნებას და სიხარულს ამ ისტორიული დღის პროგრამის პირველი, მთავარი ნაწილის ასე ბრწყინვალედ შესრულებით გამოწვეულს.

აი ამ საერთო სიხარულის ატმოსფეროში დაიწყო მეორე ნაწილი, არტისტიული, ისიდორე-შულმანის შეთანხმების შედეგათ.

აქ მოხდა შეჯიბრი ყველა პროვინციალურ სახალხო სიმღერების გუნდების და ცეკვების, აგრეთვე პოეტების.

სიმღერებში პირველი ჯილდო მიეკუთვნა მეგრულ მომღერალთა გუნდს, სამეულს, რომელსაც ხელმძღვანელობდა იმვიათი ტენორის მქონე გაგი ძიძავა.

ცეკვებში ყველა მოხიბლა ორი სვანი გლეხის ცეკვამ მათი ჰარმონიული, ლამაზი გოგმანით ეზოს კლდის სიმაღლეებზე.

დღესასწაულის აპოთეოზი გახდა პოეტი ალექსანდრე გასიტაშვილის მიერ ამ დღისთვის დაწერილი და წაკითხული ლექსი:

სადაც არ ვიყო მე, მშვენიერს გაზაფხულს,
მუდამ ქამს ვიგონებ სამშობლოს დაჩაგრულს,
ოხ, ეს მოგონება მე, გულს მიკლავს, მიმონებს,
მთელი დღე და ღამე მაკვნესებს, მიმონებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტურფა საქართველო გაჰქურდეს, გაძარცვეს,
ჯალათ იუდებმა ჯვარს აცვეს, აწამეს.
ვაშა საქართველოს, დიდება მისს აისს,
მუდამ ყაბს ვუგალობ ოცდა ექვს მაისს.

... ამ დღეს ლაღობდა გული ქართველთა ოთხ კედელში გამომწყვდეული, გუგუნებდა 26 მაისის «დიდება» და იგი როგორც ბრძოლის ყიყინა ედებოდა დედა-ქალაქის მიდამოებს. საპყრობილეში გადახდილი ეროვნული დღესასწაული დარჩება ჩვენი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში როგორც სიმბოლო,—მაჩვენებელი შეუჩერებელი გმირული სწრაფვისა, მოტაცებულ თავისუფლების აღსადგენათ...

გ. ბოდლქვაძე.

შრომის დღესასწაული საბჭოეთში

პირველი მაისი მშრომელთა და ტვირთმძიმეთა დღესასწაულია. დაარსებიდანვე მისი მიზანი იყო ბრძოლა ახალი, სოციალისტური საზოგადოების დაარსებისთვის, ბრძოლა მილიტარიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამ დროშის წმინდა იდეალები ასულდგმულებდნენ და აცხოველებდნენ, საერთაშორისო ხასიათის მუშათა დემონსტრაციებს მათ წარმომადგენელთა საპარლამენტო გამოსვლებს, მუშათა პრესას.

პირველმა საერთაშორისო ომმა უდიდესი ლახვარი ჩასცა ამ ჰუმანისტურ და პროგრესიულ იდეათა მძლავრ მოძრაობას, მუშათა მასსები ბრძოლის ველზე ერთი-მეორეს დაეტაკენ და გაიქლიტენ. პირველი მაისი ოდნავ ამოძრავებული, მსხვერპლი ხდება ფაშიზმ-ბოლშევიზმის. თუ პირველი გაჰქრა საერთაშორისო ასპარეზიდან, მეორემ თავის პოლიტიკური გაბატონებით ქვეყნიერების მეექვსედ ნაწილზე აჰკვეთა მუშათა თვითმოქმედება, შებორკა უფლება და ინიციატივა, მის პროფესიონალურ ინტერესთა დასაცავად; მუშათა კავშირები გადაიქცა სახელმწიფო ორგანოებათ, დაეკისრა ვალდებულებათ ხელისუფლების სოციალ-ეკონომიურ პოლიტიკის უკრიტიკოთ მოწონება. საბჭოთა მართველობის ქვეშ პირველი მაისი გახდა სამხედრო აღლუმების მანიფესტაცია და არა ჰუმანისტურ აზრების, თავისუფალ სიტყვის, მუშათა მოთხოვნილების დღე. საკმარისია გადაათვალიეროთ მათ მიერ გამოქვეყნებული ასიოდე საპირველმაისო ლოზუნგი, რომ დარწმუნდეთ, თუ როგორ ეპატიჟებიან წითელ მექაში მთელი ქვეყნიერების მშრომელ მასსებს, პირდებიან გაბედნიერებას ისე, როგორც მათ «გააბედნიერეს» საბჭოთა იმპერიის მოსახლეობა. იყო დრო, როცა დასავლეთის მუშათა წრეებში ოქტომბრისგან წარმოშობილ ილიუზიებს ელოლიავებოდნენ, სურდათ დაენახათ მასში ახალი, უკლასო საზოგადოების წინამორბედნი და დამფუძნებელნი. ნახევარ საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნის მანძილზე კი აშენდა პოლიციური სახელმწიფო, წარმოიშვა ახალი კლასი მჩაგვრელი, ფუფუნებაში შეცურებულებული... ამ დროის მანძილზე ინდუსტრიალურად დაწინაურებულ ქვეყნებში შრომის დაცვისთვის ბრძოლამ არა ერთი გამარჯვება მოიპოვა. იყო დრო, როცა რვა საათის სამუშაო დღის მოსათხოვად—ქუჩებში გამოსულ დემონსტრაციებს წინ პოლიცია ეღობებოდა. მაგ. საფრანგეთში 1890 წელს პირველ მაისს—პოლიციასთან შეტაკებაში მოკლულ იქნა 10 კაცი, დაიჭრა 80. დღეს კი პირველი მაისი საკანონმდებლო გზით აღიარებულია შრომის დღესასწაულად ხელფასის შენახვით. პროფ. კავშირებს მიეცათ ლეგალური მოქმედების უფლება, გაფიცვა კანონის მფარველობის ქვეშ მოექცა, იგი იქნა აღიარებული როგორც ლეგალური საშუალება პროფ—ულ ინტერესთა თასაცავათ. ყველა სამრეწველო დარგებში, სავაჭრო თუ სახელმწიფო-საზოგადოებრივ დაწესებულებებში დაკანონდა მუშათა საწარმო კომიტეტები, რომლის წევრთა არჩევა ხდება დაფარული კენჭის ყრით, თანდათანობით ფართოვდება სოციალური კანონმდებლობა...

თუ დღევანდელ კაპიტალისტურ სამყაროში უსათუოდ არ არის დამყარებული იდეალური საზოგადოება, სწორედ მუშათა მძლავრი ორგანიზაციების, მათი დისციპლინის და დარაზმულობის შედეგათ სოციალური მიღწევები იმდენათ დიდია, რომ არსებული პოლიტიკური თავისუფლების ასპარეზი—იძლევა მომავლის პერსპექტივებს, ადამიანის სრული შემოქმედების აღმავლობისა, მისი სრული სოციალური ემანსიპაციისა...

საბჭოთა ქვეყანაში განა შეუძლია მუშა-მოსამსახურეებს გაფიცვები მოაწყონ თავიანთ ნივთიერ და პროფ—ულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად?.. მათ არ აცდებათ ციხე-გადასახლება, წამება...

მიუხედავად ამისა პირველ მაისისგან დასახული იდეალი ცოცხლობს. მისი დროშა ერთ დღეს თავისუფლად აფრიალდება განთავისუფლებულ დამოუკიდებელ ერებში და თვით რუსეთის ხალხში.

ა. ბადრიძე.

ისტორიკოსის სიყალბე!

საქართველოში ოქტომბერს ადგილი არ ქონებია, მის ექსპერიმენტებს ქართველი ხალხი არ გაჰყოლია, პირიქით მან უარყო იგი, გაემიჯნა. ხალხის უფლების, დემოკრატიული და სოციალური სამართლიანობის დროშა აღმართა. დღეს როცა ოქტომბრისგან წარმოშობილი უზარმაზარი პოლიციური სახელმწიფო სადღესასწაულოთ ემზადება, ხალხთა დამონების, ტანჯვა-წვალების ორმოცდაათი წელი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიღესასწაულოს; ჩვენი ისტორიის ფალსიფიკატორებ ის კა ლამიც ამუშავდა, ამახინჯებენ ფაქტებს და მოვლენებს, რათა ახალი თაობა დააჯეროონ, ოქტომბრის მიერ მოტანილ ბედ ნიერებაში. სხვა მრავალთა შორის ჯერჯეროობით აღვნიშ ნავთ «მნათობის» 1967 წ. № 1-ში მოთავსებული ვინმე ჯიჯი ეიშვილის წერილს: «ოქტომბრის რევოლიუცია და ბრძოლა ხელისუფლებისათვის საქართველოში». ავტორს სურს დაამ ტკიცოს, რომ გერმანელებმა ოკუპაცია მოუხდინეს საქართ ველოს და აჩანაგებდენ მის ეკონომიურ დოვლათს. ის ეყრდ ნობა რასაკვირველია ლენინის სიტყვებს, რომელსაც იმ ხა ნებში უთქვამს თუ დაუწერია: «საქართველოს დამოუკიდებ ლობა აშკარად მოტყუილებად იქცა, სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელ იმ. პერიალისტების მიერ, გერმანელი ხიშტების კავშირი მენშე ვიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ».

გერმანელებს არავითარი ჩარევა საქართველოს შინაურ საქმეებში არ მოუხდენიათ, მათი ჯარის ნაწილები ჩვენში იყვნენ, როგორც მოკავშირენი სამხრეთ-მეზობლის აგრესი ის შესაჩერებლათ. ამით მხოლოთ სურს ჩვენს «ისტორიკოს» დაფაროს ლენინის ჯარების შემოსევა და საქართველოს და პყრობა. ის იმეორებს დაწვრილებით ათასჯერ გადაღეჭილ და მოჭორილ ამბებს, თითქოს საქართველო დამშეული და გალატაკებული იყო, რადგან იგი რუსეთს ჩამოშორდა, და ეს იმ ხანებში როცა რუსეთში საშინელი ანარქია იყო გამეფე ბული და მთელი ოლქები შიმშილით იხოცებოდა საქართვე ლოში კი სიწყნარე სუფევდა და საშინელი მძიმე პირობების მიხედვით სახალხო გამოკვება უზრუნველყოფილი იყო.

ვაი ისტორიკოსი ჯიჯიეიშვილი ჩამოთვლის იმ ადგი ლებს სადაც დამოუკიდებლობის დროს გამოსვლებს ჰქონდა ადგილი. დიახ, მოსკოვიდან მოსყიდულ აგენტებს აქა-იქ შე ცდომაში შეჰყავდათ ადგილობრივი მცხოვრებნი, ბოროტ ად იყენებდენ იმ დაბრკოლებებს, რომლებიც არ შეიძლე ბოდა ადგილი არ ქონოდა ნორჩ რესპუბლიკას პირველ დღე ებში. მაგრამ არასოდეს რესპუბლიკის ჯარები არ ჩარევია შეცდომაში შეყვანილ მცირე რიცხოვან მეამბოხეთა დასა წყნარებლათ, თვით ადგილობრივი მცხოვრებნი საკუთარი ძალღონით ბოლოს უღებდენ ყოველგვარ უწესრიგობას და განუმარტავდენ მათ მიერ გადადგმულ შემცდარ ნაბიჯს.

სტყუა აგრეთვე მოსყიდული კალმოსანი თითქოს სადმე ამბოხების ჩასაქრობათ ეროვნულმა მთავრობამ მიმართა გე რმანულ ჯართა ნაწილს. მატყუარა «ისტორიკოსი» იკვეხნის: ბოლშევიკებმა შესძლეს საქართველოში გაფიცვების მოწყო ბა, ეს მტკნარი სიცრუეა. აბა თუ იმ პროფკავშირებში უცხო ელემენტების გაბატონებით სრულებით არ განისაზღვრებო და საქართველოს მუშათა მასსების ძალა, მაშინ როგორ მოხ-

30279

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომ რუსების ჯარების შემოსვლის მეორე დღეს ნაძალადევის კლუბში საქართველოდან განდევნილ სტალინს ლაპარაკის საშუალება არ მისცეს მუშებმა? ის ტრიუმფით უნდა მიეღოთ მუშებს—თუ ასეთი წინააღმდეგი იყვნენ დემოკრატიული მთავრობის... ყველა ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყანაში პროფკავშირებს უფლება აქვთ გაფიცვის, ასე იყო ჩვენშიც. აბა გაბედონ ეხლა და რომელიმე პროფკავშირმა გამოაცხადოს გაფიცვა. ეროვნულ მთავრობას არავინ დაუსჯია გაფიცვისათვის.

დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ისტორიკოსი მაინც აღიარებს წერილის ბოლოს, მუშათა გამოსვლები არ იყო ორგანიზებული, ამიტომ იგი დამარცხდაო. დამარცხდა აგრეთვე შეიარაღებული აჯანყება სამხრეთ ოსეთშიო. არა ბატონო ისტორიკოსო, დამარცხდა იმიტომ, რომ ქართველ მასსებს კარგათ ჰქონდათ შეგნებული ეროვნული თავისუფლების ფასი და ამიტომაც მხარს უჭერდენ საქართველოს ეროვნულ მთავრობას, ყდგენ მას გვერდში, რომლის დამარცხება შესაძლებელი გახდა მხოლოთ რუსის ჯარების შემოსევით.

ბაზველი.

ქ-ნ მაკრინე ჩხენკელის ხსოვნას

1967 წ. 12 მარტს, გულის ავადმყოფობით პარიზში გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს ელჩის აკაკი ჩხენკელის მეუღლე.

ქალბატონი მაკრინე დაიბადა 1882 წელს ქ. სოხუმში, ცნობილ კულტურულ და შეძლებულ სიმონ თურქიას ოჯახში. სწავლის გასაგრძელებლად ახალგაზდა მაკრინე პეტერბურგში გაემგზავრა. აქ ის უახლოვდება ქართველ საზოგადოების ერთ-ერთ ჯგუფს; მათთან ერთად ეცნობა და იზიარებს მაშინდელ პროგრესიულ იდეებს. მოხიბლული სახალხო დიდი მოძრაობით, თითონაც ღებულობს აქტიურ მონაწილეობას, განათლებული, ნიჭიერი და დიდი მეხსიერების მქონე მაკრინე საკმაო დახმარებას უწევს თავის თანამოაზროვნეთ. პეტროგრადშივე გაიცნობს ახალგაზრდა აკაკი ჩხენკელს და 1906 წელს საბოლოოდ დაუკავშირებს მას ცხოვრებას ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე, თავს ევლებოდა თავის საყვარელ ქმარს. განუწყვეტლივ მასზე ზრუნვით ამხნევებდა და უადვილებდა აკაკის მის მძიმე და რთულ ეროვნულ და პოლიტიკურ მუშაობას. პეტერბურგში აკაკის დეპუტატობის დროს მაკრინეს თავაზიანობა და სტუმართ-მოყვარეობა იზიდავდა და ხიბლავდა ნაცნობ-მეგობრებს. მათ ბინაში ხშირად იმართებოდა სახელმწიფო დუმის სოც.-დემ. ფრაქციის კრებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთში ქ-ნი მაკრინე დიდებულად ასრულებდა ელჩის მეუღლის როლს. პარასკეობით მის მისაღებ დღეს სია. მოვნებით ესწრებოდა როგორც ქართველი ისე უცხოელი საზოგადოება. მისი ბინა მუდამ მზად იყო სტუმრად მოსულ ქართველ ემიგრანტის მისაღებად. ყველას მიიღებდა, მოეფერებოდა, ანუგეშებდა და მორალურად გაამხნევებდა, და შესაძლებლობის მიხედვით შეეცდებოდა უმუშევრების ადგილზე მოწყობას.

ქმრისთვის დაუფასებელი თანამშრომელი მთელ თავის უნარს და ენერგიას, ქვეყნის და ერის სამსახურისთვის იყენებდა. ქართველი ერი არ დაივიწყებს მისთვის თავდადებულ შვილებს და სხვებთან ერთად ღირსეულად დააფასებს ამ ყოველმხრივ დიდად შემკულ ოჯახს.

აქ კი ქართველი ემიგრანტები და განსაკუთრებით მისი მეგობრები დიდ მწუხარებას განიცდიან ამ მძიმე დანაკარგით. მისი დაკრძალვა მოხდა 18 მარტს, თავისი ძვირფასი მეუღლის გვერდით.

ქალბატონ მაკრინეს ხსოვნა დაუვიწყარი დარჩება მის მეგობართა შორის.

ვ. ჩუბინიძე.

თებერვლის რევოლიუცია

კომუნისტები უღალატებდნენ თავიანთ ჩვეულებებს და მეთოდებს, რომ თებერვლის წარმომშობი მიზეზები ტენდენციურად არ წარმოედგინათ, კიდევ მეტი მის მეთაურად და ხელმძღვანელად თავიანთი პარტია არ დაესახათ.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ გაიმარჯვა იმიტომ რომ ამ რევოლიუციაში განხორციელდა მუშებისა და გლეხების საბოლოო კავშირის ლენინური იდეა». ასე სწერს ქართულ «კომუნისტში» პრ. ხუციშვილი (იხ. «კომ.» № 60. 12.3.67).

სადაც ვრცლად მოხსენებულია და ჩამოთვლილია რევოლიუციის წინა ხანის ის გაფიცვები, დემონსტრაციები, საჯარო გამოსვლები. რომლებსაც მართლაც აღგილი ჰქონდა, მაგრამ დახეთ, რომ მათი მეთაურნი და სულის ჩამდგმელნი ყოფილან ბოლშევიკები. ლენინის მითითებისა და დირექტივების ქვეშ მომქმედნი. მაგრამ საკითხავია, როგორ მოხდა, რომ რევოლიუციის მოხდენის მეორე დღეს ისინი სათავეში არ აღმოჩნდნენ,—არამედ მისი ხელმძღვანელნი იყვნენ სოც.-დემოკრატები და ესერები?..

ამის ახსნა ეკრძალება ბ-ნ პროფესორს. ის არც იმისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწუხებს თავს რომ სისწორით წარმოადგინოს რევოლიუციონურ მოვლენათა განვითარება.

შევეცადოთ მისგან დაბრიყვებულ მკითხველის გარკვევა —რამდენათ ეს შესაძლებელია.

თებერვლის რევოლიუცია ომიდან გამოვიდა. რუსეთი ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი დასავლეთ ევროპასთან შედარებით მსოფლიო ომის წყალობით აუტანელ ტვირთს ქვეშ მოექცა. ომი იყო შედეგი მოწინავე ქვეყნების ეკონომიური ქიშპობის, კოლონიალური ბაზრების მოპოვების, ორ სახის კაპიტალის დატაკების, ძველი სამრეწველო ინგლისის და ახალი ფინანსიური კაპიტალის—გერმანიის. რუსეთს არც ერთი გააჩნდა და არც მეორე, მისი მსოფლიო ომში ჩაბმა არც ახალი ბაზრების საჭიროებისთვის, არც შინა ან ეკონომიური მიზეზების სამრეწველო განვითარებისგან იყო გამოწვეული, არამედ საერთაშორისო კომბინაციის, რუსეთისგან თავის თავზე აღებულ ვალდებულების შესრულების და თუ შეიძლება ითქვას სლავიანოფურ ავანტიურიზმის.

გიგანტების ომი მალე აუტანელი გახდა ამ გაბერილ მპყრობელისთვის. არმია დამარცხებას-დამარცხებაზე განიცდიდა—თავი უმწეოთ იგრძნო და სულით დაეცა. მაშინდელი საზოგადოებრივი ძალები, თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია ხალხი, სამივე უკმაყოფილონი არსებულ პოლიტიკურ ვითარებით ცხადია ერთნაირად არ აფასებდნენ ძირ-მომპალ თვითმპყრობელობის გადაშენების მოახლოებას. პირველს უდიდეს ცოდვათ მიაჩნდა გერმანიასთან ომი, თავის პრივილეგიურ მდგომარეობის გარანტიათ—მას ესახებოდა რუსეთ-გერმანიის მეგობრული კავშირი. მათ წამოაყენეს სეპარატიული ზავი გერმანიასთან, რომელსაც წინააღუდგენ სამხედრო წრეები. რასპუტინები იყვნენ ნამდვილი აგენტები ფეოდალების, რომლებიც ხელს უწყობდნენ ომის შიგნიდან აფეთქებას. ბურჟუაზიის უკმაყოფილება კი სრულიად წინააღმდეგი მოტივებით იყო გამოწვეული. ის აბრალებდა მეფის მთავრობას ომის ცუდათ წაყვანას, დამარცხებებს და გამცემლობას, ომის გამარჯვებით დამთავრებაზე იყო დამყარებული მისი დიდი ხნის იმედები. სახელდობრ კონსტანტინოპოლის და სრუტეების დაპატრონება, დიდძალი კონტრიბუციის მიღება და ამ გზით მეურნეობის განვითარება, უცხოეთთან ხელსაყრელ ხელშეკრულების დადებით საკუთარ მრეწველობის და საგარეო ვაჭრობის გაჩაღება. პოლიტიკურ სფეროში სახელმწიფო დუმის სრულუფლებიან პარლამენტათ გადაქცევა და სხვ...

ყველა ეს იმედები ინგრეოდა დაქრებოდა მეფისა და მისი კამარილიის უგუნური მმართველობის წყალობით. ბურჟუაზია ფიქრობდა რომანოვების გვარიდან სხვა მისაღებ პიროვნების გამეფებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახლოებულ რევოლიუციიდან მხოლოდ მუშათა ავანგარდს და მშრომელ ინტელიგენციას სურდა თვითმპყრობელობის შეცვლა დემოკრატიულ რესპუბლიკათ.

ამგვარად რევოლიუციონური სულისკვეთება მოედო მთელ რუსეთს.

ვინ ედგა სათავეში და ხელმძღვანელობდა თებერვლის წინა ხანებში რევოლიუციონურ მოძრაობას? ვის მიყვებოდა მუშათა შეგნებული ნაწილი, რომელიც იყო გადამწყვეტი და მეთაური რევოლიუციის პირველი დღეების? მთელი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ფაქტიური ხელმძღვანელი იყო სახელმწიფო დუმის სოციალდემოკრატიული ფრაქცია—რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა დროს ნ. ჟორდანია, ირ. წერეთელი, კ. ჩხეიძე, აკ. ჩხენკელი, ევ. გეგეჭკორი და სხვები. მათი როლი უდიდესია თებერვლის რევოლიუციის ისტორიაში—რაც შეუძლია მხოლოდ ბოლშევიკების ისტორიკოს დაავიწყდეს... ჟურნალის სივიწროვენებას არ გვაძლევს მათ მიერ გაწეული კოლოსალური შრომა აღვწეროთ და აგრეთვე ის აღტაცება, რაც რევოლიუციის დღეებმა გამოიწვიეს. ამით აიხსნება ის განსაცვიფრებელი ისტორიული მოვლენა,—საუკუნეებით ნაგები ვეებერთელა შენობა თვითმპყრობელობის ასე უეცრად რომ დაინგრა. სად იყვნენ ამ დროს ბოლშევიკები? თებერვლის რევოლიუციაში მათ არავითარი როლი არ უთამაშიათ. მათი ორგანიზაციები დიდი ხნიდან დაშლილი იყო, ხოლო მათი მთავარი შტაბი საზღვარგარეთ უვნებლად განისვენებდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ თებერვლის წინა ხანის ეკონომიურ და პოლიტიკურ გაფიცვებს რუსეთში უფრო სტიქიური ხასიათი ჰქონდა. იქ ჯერ გაფიცვა დაიწყებოდა ხოლმე და პარტია მერე მიდიოდა გაფიცულებთან სახელმძღვანელოთ. ამიერ-კავკასიაში და საქართველოში კი მწყობრი და ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. რით აიხსნება ეს? მისი მუშაობის მეთოდით. უმთავრესად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შესძლო მთელი დემოკრატიის დარაზმვა, მისი ერთი დროშის ქვეშ დაყენება და მებრძოლი ძალის ერთი მთავარი მიზნისკენ მიმართვა. ამ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მაშინ—თვითმპყრობელობასთან ბრძოლა, მისი დაცემა, რის შემდეგ ქართველი ერის ნანატრ ეროვნულ თავისუფლების აღდგენას გზა ეხსნებოდა...

საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია ავანგარდი თებერვლის რევოლიუციისა—შერჩა მის დიდ დემოკრატიულ იდეალებს—და გადმოიყვანა ისინი დამოუკიდებელ საქართველოში განსახორციელებლად.

როცა მუშათა და გლეხთა საბჭოების ქსელი მოედო მთელს რუსეთს—მათში ბოლშევიკების ჭაჭანება არ იყო. ბ-ნი ხუციშვილი ბრძანებს: თებერვლის რევოლიუციამ—გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი136/41

იმარჯვა მათი წყალობით. მართალია—თებერვალმა გაიმარ-ჯვა თვითმპყრობელობაზე,—მაგრამ მისგან წამოყენებული დემოკრატიული, ხალხის თავისუფლების იდეა დაასამარა—კომუნისტური პარტიის შეთქმულებამ.

როგორ მოხდა? დაღლილ-დაქანცული ჯარი ითხოვდა სახლში დაბრუნებას, ის მზად იყო გაჰყოლოდა ვინც არ უნდა ყოფილიყო—ოღონდ მოეხსნა ფრონტიდან და სახლში გაეშვა. გლეხობის შეუგნებელი და რევოლიუციისთყის მოუმზადებელი მასსა ფიქრობდა, არა თავისუფლების გამარჯვებაზე,—არამედ ოცნებობდა მიწის მიღებაზე.

ბოლშევიკებმა გადმოისროლეს ლოზუნგი: «ზავი დაუყონებლივ»; «დაუყონებლივ მთელი მიწა—გლეხებს», «მთელი ძალაუფლება საბჭოებს». პირველ ორზე არავინ დაობდა მხოლოდ ეს იყო დროს საკითხი. სადაო იყო მესამე,—დამფუძნებელი კრება თუ წოდებრივი, კლასობრივი ცენტრი—ე. ი. საბჭოები. ბოლშევიკებს ეშინოდათ მთელი ხალხისგან გამოთქმული თავისუფალი ნებისყოფის,—საიდანაც ისინი გამორიცხული იქნებოდენ, მათ ხალხი არც აირჩევდა, არც გაჰყობოდა. ამიტომაც მათ მიიმხრეს ჯარის ერთი ნაწილი და მოაწყვეს გამოსვლა მაისში თუ ივნისში. მეორე დღესვე პეტროგრადის მუშებმა უპასუხეს გრანდიოზული კონტრ-დემონსტრაციით. მათი გეგმა ჩაიშალა. ამ დროს იყო რომ კარლო ჩხეიძის სიტყვები რომლითაც მან მიმართა სასახლეში თავმოყრილ ჯარებისა და მუშების წარმომადგენლებს: «ჩვენ გვწყურია ზავი, უკონტრიბუციო და უანექსიო, მაგრამ თუ ჩვენი ხმა არ იქნა შესმენილი, მე თვითონ გავიდებ თოფს ამ ჩემს მოხუც მხარზე და გაგიძღვებით წინ რევოლიუციისა და თავისუფლების დასაცავად»-ო.

ბოლშევიკების მეთაურებმა მალულად განაგრძეს მომავალი შეთქმულების მოწყობა, უმთავრესად ჯარში გააძლიერეს პროპაგანდა. მათ ისარგებლეს იმითაც, რომ რუსეთის დროებით მთავრობამ პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა ვერ შესძლო ბოლშევიკების წინააღმდეგ. ვერ გადასჭრა უმთავრესად ფრონტის საკითხი—რომელიც თანდათან იშლებოდა—დაბრუნებული ჯარისკაცობა ადგილობრივ საბჭოებს ძალით ეპატრონებოდნენ. უკმაყოფილება იზრდებოდა, სამოქალაქო ომის ქარიშხალი თანდათანობით ედებოდა ქვეყანას; თვითნებობა, რეპრესიები მოწინააღმდეგეთა მიმართ ძლიერდებოდა. სოციალური ზღუდე—დროებით მთავრობის გარშემო ვიწროვდებოდა, რომელიც უცდიდა დამფუძნებელი კრების შეკრებას... ამ დღეებში გამოდის ტროცკი საჯარო განცხადებით რომ გაფანტოს ხმები შეთქმულების—დამფუძნებელი კრების ჩასაშლელად, რომ ისინი—პირიქით დაემორჩილებიან ხალხის გადაწყვეტილებას. სწორედ რამოდენიმე დღის შემდეგ 25 ოქტომბერს—ღამით მოხსნეს მთავრობის დარაჯები და თავისიანები ჩააყენეს —ეს იყო ნამდვილი ღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატი თებერვლის რევოლიუციის, შეთქმულება მის წინააღმდეგ—რამაც წინასწარ გადასჭრა დამფუძნებელი კრების ბედი....

მცირე ხნის შემდეგ ჯარებით გარშემორტყმულ სასაზლეში იკრიბება დამფუძნებელი კრება,—აქ იყო რომ გაისმა ისტორიული ხასიათის სიტყვა ირაკლი წერეთლის, მან ნათლად დაინახა რევოლიუციონურ ქურქში გახვეული ძალა, რეაქციის კარის გამღები. ამ სიტყვის უმთავრესი ადგილის მოყვანა აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია.

«მოქალაქენო, მე მგონია რომ მას ვინც იღებს თავის თავზე სოციალიზმის საბოლოო იდეალების განხორციელებას და ფიქრობს, რომ შესწევს ძალა მისი განხორციელებისთვის, არ უნდა ეშინოდეს იმ ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვების, რომელიც ხალხმა მოიპოვა, არა მარტო ერთი პარტიის წარმომადგენელთათვის. დამფუძნებელი კრება, რომელიც არჩეულია ყველაზე სრულყოფილი დემოკრატიული საარჩევნო უფლების საფუძველზე და ამიტომ ყველაზე უფრო სწორად გამოხატავს ხალხის ნებისყოფას, დღეს გაიხსნა არა ისეთ პირობებში, როგორც მოითხოვდა მუშათა კლასი. დამფუძნებელი კრება იხსნება მაშინ, როცა მთელი ქვეყანა სამოქალაქო ომის ხანძარშია გახვეული, როცა გაუქმებულია ყველა დემოკრატიული თავისუფლებები, არ არსებობს არც პირადნების, სიტყვის, კრების, კავშირის თავისუფლება, არც გაფიცვის უფლება. ციხეები ივსება ძველი რევოლიუციონერებით და სოციალისტებით, თვით დამფუძნებელი კრების წევრებითაც, როცა მათი მსაჯულება ჩაკლულია და ყველაზე უსაშინელესი ფორმები თვითნებობისა და უუფლებობის ტარდება»...

ეს იყო გმირული შეტაკება ახლად გაბატონებულ ბოლშევიკურ ტირანიის წინააღმდეგ...

თებერვლის რევოლიუციის მეთაურთა შორის მხოლოდ ირ. წერეთელი მოითხოვდა რეპრესიული ზომების მიღებას ბოლშევიკების წინააღმდეგ. დანი და ზოგიერთები წინ აღუდგენ მის მოთხოვნას. მარტოვი—ირ. წერეთელს ადარებდა იმ ვერსალელებს, რომლებმაც დაამარცხეს პარიზის კომუნა. არა თუ მარტოვი, მემარჯვენე სოციალისტებიც კი ბოლშევიკებს სთვლიდნენ «დაბნეულ ძმებათ» («კონტრა სოციალ» № 2, 1967).

ბოლშევიკებმა ისარგებლეს რა რევოლიუციონური ხანის შერყეული მდგომარეობით,—გაარღვიეს რევოლიუციონური ფრონტი—შემუსრეს ხალხისგან არჩეული კრებული, რომლის ნორმალური საზოგადოებრივი წესები მართველობისა მათ აფრთხობდათ... ბოლშევიკების მოქმედებას საფუძვლად დაედო მეოთხედი საუკუნის ადრე ცნობილ ტკაჩოვის მიერ შემუშავებული იდეოლოგია,—ლენინის მიერ ორტოდოქსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ მარქსიზმათ გასაღებული... ჩამორჩენილ ქვეყანაში სამრეწველო ურთიერთობისა და კაპიტალიზმის გარეშე—სოციალიზმში გადახტომა, დემოკრატიული გზის უარყოფა, რადგან ხალხს არ შეუძლია იხსნას თავისი თავი, იგი დამარღვეული ძალაა, რევოლიუციონური უმცირესობა კი შემომქმედი და ამშენებელი»-ო. აი ამ დროშით მოექცენ სათავეში ხალხის ბედსა და მომავალს. შექმნეს პოლიციური სახელმწიფო, წარმოშვეს ახალი დაპირისპირპირებული კლასები, და ამგვარად დაასამარეს თებერვლის რევოლიუციის დიდი დღეები —ხალხის ბატონობისა და მისი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების პროგრესიული განვითარება.

ლენინის და მისი პარტიის მიერ ოქტომბერში მოწყობილი შეთქმულება—წინ გადაეღობა თებერვრვლის დემოკრატიულ—სახალხო იდეალების განხორციელებას, დამფუძნებელ კრებას, საკანონმდებლო გზით გამოეყვანა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრება ნორმალურ განვითარების გზაზე. ისტორიულად გამართლებულია ის ფაქტი, რომ თვით რუსეთის დემოკრატიიული მასსები ვერ აღმოჩნდნენ თავის ისტორიულ მოვალეობის სიმაღლეზე მომწიფებული პოლიტიკურად,—დარაზმული ორგანიზაციულად ვერ აღუდგნენ წინ ოქტომბრის ექსპერიმენტებს და მით გზა გაუხსნეს დიქტატურას. რომელმაც მათ დაადგა სოციალურ-პოლიტიკური მონობის უღელი.

პ. სარჯველაძე.

ლადო არველაძის ნაწარმოები

ჩვენმა მეგობარმა ლადო არველაძემ საკუთარი საშუალებით გამოსცა თავისი პროზაული ნაწარმოები. ექვს რვეულს შეიცავს მისი ნაშრომი, რომლის საფუძვლიანად გარჩევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და უნდა გადავდვათ მომავლისთვის. აღვნიშნავთ მოკლეთ უკანასკნელ ომში გადატანილ განცდების, ნახულის, დრამატიული ეპიზოდების გადმოცემას, შიგადაშიგ გაცოცხლებულია ჩვენი ადათ-ჩვეულებები, ყოფა-ცხოვრების წესები...

მოთხრობა, რომელშიაც მხილებულია გაბატონებული ბობოლა-კომუნისტების თავ-აშვებული თარეში,—ყველაფერი მოთხრობილია სრულის გულწრფელობით და დაკვირვებით, მრავალი მხატვრული სურათებით. მის კალამს კვლავ შეუძლია მოგვცეს დიდი ნაყოფი და უსურვებდით მწერალს, კვლავ გააგრძელოს შრომა პროზის სფეროში.

Gerant: Michel Stouroua.

Imprimerie Coopérative Arpajonaise. Arpajon.